



**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**დადგენილება №26**

**2016 წლის 31 აგვისტო**

**ქ. მცხეთა**

**„მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის  
დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის საფუძველზე,

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 04/02/2015,0102600 20.35.153.01.6252), კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი